

მიიღე სტეფორდშირის უნივერსიტეტის (ბრიტანეთი) დიპლომი ბიზნესის ადმინისტრირებაში



**STAFFORDSHIRE
UNIVERSITY**

სტეფორდშირის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა BTU-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ერთდროულად ორი დიპლომის მოპოვების საშუალებას იძლევა და ბრიტანეთში საბაკალავრო სწავლების ბოლო წლის გატარებას გულისხმობს.

სტეფორდშირის უნივერსიტეტი დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული უნივერსიტეტია, და მსოფლიოს ტოპ უნივერსიტეტებს შორისაა. სტეფორდშირის უნივერსიტეტს საფუძველი ჯერ კიდევ 1971 წელს ჩაეყარა, თუმცა ამჟამინდელი ფორმით/სახელწოდებით ის 1992 წლიდან არსებობს, უნივერსიტეტში დანერგილია 29 სხვადასხვა სასწავლო პროგრამა მათ შორის ბიზნესისა და ფინანსების მიმართულებით. სტეფორდშირის უნივერსიტეტში დაახლოებით 15 000 სტუდენტი სწავლობს, მათ შორის არიან საერთაშორისო სტუდენტები მსოფლიოს 75 ქვეყნიდან.



ბრიტანული განათლების რეგიონალური ჰაბი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტსა და სტეფორდშირის უნივერსიტეტთან (Staffordshire University) თანამშრომლობა ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით დაფუძნებული ბრიტანული განათლების რეგიონალური ჰაბის ფარგლებში ხორციელდება. თანამშრომლობა მოიაზრებს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედებას ბრიტანელი ექსპერტების ჩართულობით, ერთობლივი კვლევების და ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური პროექტების საქართველოში განხორციელებას, აგრეთვე, ბრიტანული სასწავლო მასალების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებას.

ბრიტანული განათლების რეგიონალური ჰაბი 2017 წლიდან ფუნქციონირებს და მის ფარგლებში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ხუთ ბრიტანულ სასწავლებელთან თანამშრომლობს. არსებულ პარტნიორებს შორისაა რედინგის უნივერსიტეტი/ჰენლის ბიზნესის სკოლა (University of Reading, Henley Business School), ჩიჩესტერის უნივერსიტეტი (University of Chichester), ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების ბრიტანული ორგანიზაცია ACCA.

პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე (მაგ., IELTS (UKVI) – 6.0 ან მეტი (არანაკლებ 5.5) ან UKVI-თვის მისაღები ექვივალენტის დაკმაყოფილება) და წინა სემესტრებში BTU-ს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 180 კრედიტის (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში) კრედიტის მიღება. დიდი ბრიტანეთის 0,5 CATS (Credit Accumulation and Transfer Scheme/System) = 1 ECTS, შესაბამისად 180 ECTS უდრის 360 CATS. სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ მოდულს, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.



გაცვლითი პროგრამის განხორციელების ადგილი:

სტეფორდშირის უნივერსიტეტი (Staffordshire University), დიდი ბრიტანეთი გაერთიანებული სამეფო.

სწავლების ენა:

ინგლისური;

სწავლების ხანგრძლივობა:

1 წელი;

პროგრამის საფასური:

2250 ლარი, დამატებით 14000* ფუნტი მეოთხე წელი.

**შესაძლებელია დაკორექტირდეს პარტნიორი დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად*

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ: info@btu.edu.ge

სასწავლო კურსები:

	კომპონენტი	წინაპირობა	ECTS
1.	Applied Business Research (I) / გამოყენებითი ბიზნესის კვლევა (I)	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	6
2.	Strategic Management for Organization (I) / ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტი (I)	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	6
3.	Global Business Trend (I) / გლობალური ბიზნესის ტრენდი (I)	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	6
4.	European Integration and Expansion / ევროპული ინტეგრაცია და გაფართოება)	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	12
5.	Applied Business Research (II) / გამოყენებითი ბიზნესის კვლევა (II)	Applied Business Research (I) / გამოყენებითი ბიზნესის კვლევა (I)	6
6.	Strategic Management for Organization (II) / ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტი (II)	Strategic Management for Organization (I) / ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტი (I)	6
7.	Global Business Trend (II) / გლობალური ბიზნესის ტრენდი (II)	Global Business Trend (I) / გლობალური ბიზნესის ტრენდი (I)	6
8.	The Rule of Emerging Economies in International Business / მზარდი ეკონომიკის წესი საერთაშორისო ბიზნესში)	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	12

შეფასების სისტემა:

შეფასების სისტემების თავსებადობა	ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში მოქმედი სისტემა (max 100 ქულა)			ჩიჩესტერის უნივერსიტეტში მოქმედი სისტემა	
	დადებითი შეფასებები:			დადებითი შეფასებები:	ბტუ-ს სისტემასთან შესაბამისობა
	91-100	A	ფრიადი	70 +	A
	81-90	B	ძალიან კარგი	61 – 70	B
	71-80	C	კარგი	55 – 60	C
	61-70	D	დამაკმაყოფილებელი	50 – 54	D
	51-60	E	საკმარისი	40 – 49	E
	უარყოფითი შეფასებები:			უარყოფითი შეფასება (Fail):	
	41-50	Fx	ვერ ჩააბარა	40-ზე ნაკლები	F